პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 21 (19762) კვირა, 25 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

თბილისი. 1987 წლის 24 იანვარი. საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სურათზე: სხდომათა დარბაზი.

ს. კილაძის და ჯ. ლომაძის ფოტო.

გარდაქმნის რიტმის განსასაზღვრავად

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი ტემპს აძლიერებს. საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის „დადგენილებათა განსახორციელებლად. დასახული განახლების მასშტაბი, ცვლილებათა მოთხოვნილება გვიკარნახებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავღრმაოთ სოციალისტური დემოკრატია, ავამაღლოთ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლი, გავაძლიეროთ მათი პასუხისმგებლობა. სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ გარდაქმნის რიტმს, მოწოდებული არიან განუხრელად სრულყონ მუშაობის სტილი, მაქსიმალურად გამოიყენონ თვიანთი შესაძლებლობანი პარტიის სტრატეგიული კურსის — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს თვისებრივი გარდაქმნების უზრუნველყოფის კურსის განხორციელებაში.

ამ აზრით იყო გამსჭვალული საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მთელი მუშაობა, რომელიც 24 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები, დეპუტატები **ნ. ი. ლალიძე, ე. ჩ. კვარჩია, ა. კ. ღალიშვილი, ბ. ბ. ტეხოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოვიდა **დეპუტატი ვ. ნ. ენუქიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი **ვ. მ. ხირაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **თ. შ. კაბულოვა.**

სესიამ პენსიაზე გასვლის გამო გაათავისუფლა დეპუტატი **თ. ვ. ლაშქარაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ერთსულოვნად აირჩიეს დეპუტატი **ვ. ა. კვარაცხელია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩიეს დეპუტატები: **თ. ვ. კუნჭულია** — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი, **ბ. ი. ვაშაკიძე** — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელი მძღოლი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **შ. ვ. უარყარაშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: **ნ. რ. საჯაია** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, **ბ. ს. ჯიქია** — საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი, **ბ. ა. ლაპინი** — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის იქსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, **მ. ა. კალმახელიძე** — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, **ა. ო. მოვსესიანი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, **ლ. ა. ღურწკაია** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, **კ. თ. სალია** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, **ვ. ი. კაჭარავა** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

გამოსულმა ამხანაგებმა გააანალიზეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს იგი საგრძნობლად გააქტიურდა. მაგრამ ცხოვრება, დღევანდელობა გვიკარნახებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულვყოთ მუდმივი კომისიების მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, გავაძლიეროთ მათი ეფექტიანობა. აღინიშნა, რომ ამ მუშაობაში უფრო ენერგიულად უნდა ჩავებათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მეცნიერები, უწყებასამინისტროთა ხელმძღვანელები. გარდაქმნის პროცესში მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მუდმივმა კომისიებმა ეკონომიკასა და სოციალურ-კულტურულ სფეროში განსაკუთრებით მომწიფებული მტკივნეული საკითხების განსახილველად, ბევრი რამ იღონონ ანალიზური და საკონტროლო საქმიანობის გასაძლიერებლად.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო დადგენილება.

სესიამ განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

(საქინფორმი).

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 23 იანვარს გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია „სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გაზრდის გადაუდებელ დონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციასთან.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ი. ვოროტნიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ვ. ი. დოლგიხი და ნ. ვ. ტალიზინი, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. პ. ბირიუკოვა, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. პ. ნიკონოვი და გ. პ. რაზუმოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ვ. ს. მურახოვსკი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

დარბაზში იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვების, მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის სახბანკის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო დაწესებულებების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრები და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კავშირისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა ამხანაგმა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ამხანაგებო, ჩვენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სასაუბროდ მოგიწვიეთ, მე ვიტყოდი, უპირველესი მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებსაც ვწყვეტთ მიდინარე და მზარდი გარდაქმნის პირობებში.

ჩვენ საერთოდ ისეთ პოზიციას ვადგგავართ რომ სულ უფრო ბაკლები სხვადასხვაგვარი თათბირები მოვაწყოთ, და მოკავშირე და რესპუბლიკურ უწყებებს რეკომენდაცია მივეცით, რომ ახლა, როცა ვაჯამებთ შარშანდელ წელს ქვეყნის მუშაობის შედეგებს, გამოგვაქვს დასკვნები ყრილობის შემდგომი მუშაობის პირველი წლის გამოცდილებიდან, გავაკეთოთ ყოველივე ეს ადგილებზე, საკუთარ საწარმოებში, და უწინარეს ყოვლისა იქ, სადაც საქმე ცუდად მიდის. რეკომენდაცია მივეცით შეხვდნენ ალს, მოეთათბირონ მუშებსა და სპეციალისტებს, მთ უმეტეს, რომ მთელი ეკონომიკა, ამ წლის თებერვიდან მოყოლებული, ჩაება უდიდეს მუშაობაში მეურნეობრობის ახალი მეთოდების ასათვისებლად. და მაინც, მიუხედავად ამისა, ამ სიტუაციაში ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგხვედროდით აქ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

გარდაქმნა, რომელსაც ქვეყანაში ვახორციელებთ, ჩვენი სიცოცხლიდან ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მას ეუკავშირებთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანის გადაწყვეტას, ეს კი სტრატეგიული ამოცანაა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა და XXVII ყრილობამ დასახეს. ეს კურსი თანამიდევრულად და მტკიცედ, ვიტყოდი, კიდევ უფრო მეშეპოვრად უნდა განვაგრძოთ, ვიდრე ამას აქამდე ვშვრებოდით. იმაში, რომ იგი საჭიროა, ეს კიდევ უფრო დარწმუნებული ვარ, ვიდრე გუშინ.

ახლა მინდა წინ გავუსწოროთ საუბარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც განიხილავს გარდაქმნისა და საკადრო პოლიტიკის საკითხს. პლენუმი მუშაობას 27 იანვარს დაიწყებს. მაგრამ ახლავე აღვნიშნავ, რომ პლენუმზე კიდევ ერთხელ ვილაპარაკებთ ამ პოლიტიკური გეზის იუცილებლობაზე, რომელიც ყრილობამ დასახა, ჩვენს პასუხისმგებლობაზე საბჭოთა ხალხისა და სოციალიზმის სამყაროს წინაშე ამ პოლიტიკური გეზის რეალიზაციისათვის.

მაგრამ გარდაქმნაშიც, რომელიც მოიცავს ყველა სფეროს — ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ სფეროს და თვით პარტიას, მთელ პოლიტიკურ სისტემასაც, არის პრიორიტეტული მნიშვნელობის პრობლემები. საბოლოო ანგარიშით ხომ ყველაფერმა, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, ჩვენი სახელმწიფო კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად. უნდა გადაიქცეს ახალ მიღწევებად ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობების გაუჯობესებაში. და სწორედ აქ მივადექი ჩვენი დღევანდელი თათბირის თემას. საქმე ეხება იმას, რომ ახლა, გარდაქმნის ეტაპზე, უწინარეს ყოვლისა უნდა გადავქრათ მთელი რიგი საჭირბოროტო პრობლემები. მათ შორის არის სასურსათო პრობლემა, მათ შორის არის ბინის პრობლემა, ჩვენი ადამიანის ცხოვრების სოციალური მოწყობის საკითხები, მისი უზრუნველყოფა საჭირო საქონლით, კარგი სამედიცინო მომსახურებით, მომსახურების სფეროთი და ა. შ.

რაც შეეხება სასურსათო პრობლემას, ჩვენ, ამხანაგებო, საფუძვლიანად უნდა დავძრათ იგი ადგილიდან. ძალზე დიდხანს ვტკეპნიდით ერთ ადგილს, რომ იტყვიან, ჩაეფალთ ამ საქმეებში, მთელმა მეთერთმეტე ხუთწლედმა იბუქსავა. ბუქსაობა დავიწყეთ 1972 წლიდან, განსაკუთრებით 1975 წლიდან, როცა დიდძალი პირუტყვი დავკარგეთ, და ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმამდე გრძელდებოდა. მხოლოდ ამ პლენუმის შემდეგ დაიწყო მეცხოველეობის განვითარების წინსვლა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მატება. ამ რვა წელიწადში კი მოსახლეობამაც მომატება და ხალხის მყიდველობითი უნარიც გაიზარდა. ადამიანებს სურთ იმ შეგროვებულის რეალიზება, რომელიც ხელფასის მომატების შედეგად მიიღეს. ეს ისეთი საკითხია, რომელის გადადება არა და არ შეიძლება. ამ პრობლემის გადაჭრის მრავალი წლით გაჭიანურება შეუწყნარებელია.

ჩვენ სასურსათო საკითხს ასე მწვავედ იმიტომ ვსვამთ, მის რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვეტას იმიტომ მოვითხოვთ, რომ აგრარულ სექტორში უკვე გვაქვს უზარმაზარი კაპიტალი, შეკვმენთ პოტენციალი. ახლა ჩამოყალიბებულია ისეთი კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ აგროსამრეწველო კომპლექსი მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადაიყვანონ. და ბოლოს, უკანასკნელ წლებში შეძენილია კონკრეტული გამოცდილება, რომლის საფუძველზეც უკვე შეგვიძლია სასურსათო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული დიდი საკითხების გადაწყვეტა.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე დავასკვენთ, რომ უნდა მივიღოთ დიდი, მასშტაბური დადგენილებები, რომლებიც ორიენტირებად დასახავენ ახლებურ მიდგომას და შრომის ნაყოფიერების ახალ დონეს, რათა სეროიზულად, ენერგიულად გავუძღვეთ საქმეს აგროსამრეწველო კომპლექსში და უფრო სწრაფად შევასრულოთ სასურსათო პროგრამა.

როგორ ვქნათ ეს? რას მოვახმაროთ ძირითადი მეცადინეობა? რით შევიარაღდეთ, რაზე უნდა დავდგეთ საბოლოოდ უარი და რა უნდა დავძლიოთ — აი ჩვენი დღევანდელი საქმიანი თათბირის თემა.

* * *

მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. პ. ნიკონოვი.** მან თქვა, რომ ახლა ქვეყანაში სასწავლო კლასებსა და აუდიტორიებში ყოველდღიურად მეცადინეობს 12 მილიონზე მეტი მექანიზატორი, მეცხოველე, ეკონომისტი და ბუღალტერი, ტექნოლოგი სპეციალისტი, გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა ამხანაგმა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ავამოქმედოთ პატარა მდინარეების ენერგია

დაძაბულმა ენერგეტიკულმა ბალანსმა, რომელიც რესპუბლიკას შეექმნა ბოლო წლებში, თვალნათლივ გამოავლინა ისეთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვის გამოყენების საჭიროება, როგორიცაა პატარა მდინარეები. საქართველო ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმეტესად მდიდარი რეგიონია საბჭოთა კავშირში. ჩვენში ყოველი მთის მდინარის გამოყენება შეიძლება ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. მშენებლობა რენტაბელურია იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი თუნდაც მარტო ერთ ფერმას მოამარაგებს ენერგიით. ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე.

როგორც სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, პატარა მდინარეების ენერგიის გამოყენების ხარჯზე შეიძლება ელექტროენერგიაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების 50 პროცენტით უზრუნველყოფა. საქმთავარენერგოში შემუშავდა პატარა მდინარეების ამოქმედების ღონისძიებათა გეგმა. მიმდინარე ხუთწლედში სისტემაში დასახულია 10 მცირე ჰიდროელექტროსადგურის აშენება. ხოლო სახალხო მეურნეობის ისეთმა დიდმა და ენერგოტევადმა დარგებმა, როგორიცაა აგრომრეწველობა და მშენებლობა, თვითონ უნდა იზრუნონ საამისოდ. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა შეიისწავლონ საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება, სადაც პრაქტიკაშია მოძრავი და გადასატანი მცირე ჰიდროელექტროსადგურებიც კი.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თბოტუმბოების ამოქმედებასაც. საქართველოში, სადაც უხვად არის თერმული წყლები, ყველა პირობა გვაქვს მათი ფართოდ დანერგვისათვის, ამას წინათ კი ისიც გახდა ცნობილი, რომ ამ ტუმბოებს ზღვის წყლიდანაც შეუძლიათ სითბოს მოპოვება.

სადღეისოდ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყველა მომხმარებლის უეჭველესად ამოცანად მაინც ამ რესურსების მომჭირნე ხარჯვა რჩება, ითქვა სხდომაზე. შეშფოთებით აღინიშნა, რომ არ კლებულობს გადამხარჯველ საწარმოთა რიცხვი. ბოლო კვირაში მაკონტროლებელმა ინსპექციებმა სათბობენერგეტიკული რესურსების არარაციონალური ხარჯვის 58 შემთხვევა აღრიცხეს. მაგალითად, ენერგოზედამხედველობის მიერ მოწყობილმა ელექტრო და თბოენერგიის მოხმარების მდგომარეობის შემოწმებამ „მშენნდუსტრიალ“ ტრესტის რუსთავის ხის დამუშავებელ კომბინატში მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინა, მათ შორის — ელექტროსახურებელი ხელსაწყოების გამოყენება კათბობისათვის, თბოიზოლაციის არარსებობა და ა. შ.

გაანალიზდა აგრეთვე ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სტაბილურობა, აქაც აღმოჩნდა ბევრი არსებითი ხარვეზი.

დაისახა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში მომჭირნეობის რეჟიმის გამკაცრების ღონისძიებები.

(საქინფორმი).

ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ

გამოვიდა კრებული „ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ“, იგი შეიცავს — მთლიანად ან ამონაკრების სახით — ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს, რომლებიც აშუქებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თეორიულ საფუძვლებს, ხასიათს, მამოძრავებელ ძალებსა და მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

წიგნი პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა.

(საკდესი).

საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობის გახსნის შესახებ

საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობა გაიხსნება 1987 წლის 30 იანვარს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დელეგატების რეგისტრაცია იწყობოს: 28-29 იანვარს — 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის 19); 30 იანვარს — დილის 8 საათიდან 9 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი ტელეფონებით: 99-67-42, 99-56-43, 93-19-88.

(დასასრული მე-2 გვ.).

ერთ მილიონზე ცოტა მეტი შეადგინა, ხოლო 1986 წელს — 11 მილიონს გადააჭარბა. მათ ახლა მიჩენილი აქვთ სახნავების სამი მეოთხედი და პროდუქტიული პირუტყვის 60 პროცენტზე მეტი. ქვეყნის ყველა რეგიონში ფართოდ ვრცელდება ოჯახური იჯარაც. ციფრებს თუ შეხედავთ, თითქოსდა იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ძლევამოსილ სვლას წინ არაფერი ეღობება, მაგრამ დიდი და უდიდესი შრომის ნაოფიერება ნავარაუდევი მასშტაბისა ვერ არის.

ვითარების ანალიზისას, თქვა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, უნდა ვხედავდეთ მის ყველა რეალობასა და წინააღმდეგობას, ყველა სირთულესა და სიძნელეს, რომლებსაც არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური მიზეზებიც წარმოშობენ.

1986 წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოველმხრივ განხილა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ფორმების სრულყოფის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის კარდინალური ღონისძიებების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ არის ხაზგასმული რომ ამჟამად სოფლად შექმნილმა საწარმოო-ეკონომიკურმა ვითარებამ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისათვის გამიზნული პარტიის კურსის თანმიმდევრულმა განხორციელებამ ხელსაყრელი წანამძღვრები შეუქმნა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე საბოლოო და საყოველთაო გადასვლას, სოფლის მშრომელების საწარმოო აქტიურობის ფართოდ განვითარებას.

პარტიულმა კომიტეტებმა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კომფნისტებთან ერთად კრიტიკულად უნდა განხილონ მდგომარეობა ყოველი შრომითი კოლექტივის მიერ მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ათვისების საქმეში, დასახონ სამეურნეო ანგარიშზე და კოლექტიურ იჯარაზე გადასვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

პირველი იანვრიდან ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მეურნეობების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომბინატების, აგროფირმების, აგრომრეწვების ყველა მუშაკის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია საბოლოო შედეგებზე. ეს ღონისძიება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემაში მომუშავე 30 მილიონზე მეტი კაცის ინტერესებს ეხება, და თუ როგორი იქნება იგი — პოზიტიური თუ ნეგატიური, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ქმედითობის ერთ-ერთი მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი იყო და არის რგოლებთან და ბრიგადებთან დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებების დროული და მთლიანი შესრულება. ერთი მხრივ, ეს არის საიჯარო ქვეგანაყოფების მატერიალურ მანეთის წმინდა მოგება.

მაგრამ, აღნიშნა მომხსენებელმა, ეს საშუალო ციფრები, რომლებიც სოფლის ეკონომიკაში მომხდარ გარკვეულ დადებითს ძვრებს გამოხატავს, ჯერ კიდევ არ არის იმის დასტური, თითქოს ისეთი უდიდესი სახალხოსამეურნეო კომპლექსის საქმიანობა, როგორსაც აგროსამრეწველო კომპლექსი წარმოადგენს, ჩვენში სტაბილურად ვითარდებოდეს, თითქოს უკვე გვესწავლოს მისი წარმოების ყველა სფეროში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უდიდესი სახსრების რაციონალური გამოყენება, წარმოქმნილი პრობლემების სწრაფად, დროის დაუკარგავად გადაწყვეტა. არა, ეს ჯერჯერობით არ მომხდარა. ჯერ კიდევ ძალზე ბევრია ნეგატიური მოვლენა, რომლებიც წარმოშობენ საოფლო-სამეურნეო საგარგულების, ფერმების მცირე პროდუქტიულობას, კვებისა და სხვა საწარმოების არამწარმოებლურ მუშაობას, პროდუქციის დიდ დანაკარგებს შინდვრიდან და ფერმიდან მომხმარებლამდე გასასვლელ გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ უკვე წელიწადია მართვის ახალი სტრუქტურის პირობებში ვმუშაობთ და ხელთა გვაქვს მეურნეობრიობის უფრო სრულყოფილი ეკონომიკური მექანიზმი, ჯერ მივადწიეთ არამწარმოებლური ხარჯების სათანადო შემცირებას უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მთლიანად ვერ გამოვიყენეთ ხელსაყრელი შესაძლებლობები შრომის ნაყოფიერების არსებითი გაზრდისათვის.

სკკპ XXVII ყრილობაზე გაკეთებულ პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „...პროგრესის მთავარი მამოძრავებელი, მისი სული და გული იყო, არის და იქნება ადამიანი. დღეს სოფლის მეურნეობას განსაკუთრებით სჭირდება ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან იმუშაონ აქტიურად, დიდი პროფესიული ოსტატობით, ნოვატორული ფხიანობით. ყველა ჩვენი წარმატების უმტკიცესი გარანტია მუდმივი ზრუნვა სოფლის მშრომელების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის. ამას ისახავენ მიზნად ჩვენი გეგმები, და ისინი განუხრელად უნდა სრულდებოდეს“.

ეს დებულება ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტი როლის შესახებ ზუსტად ასახავს საქმის ობიექტურ მდგომარეობას, განპირობებულია ჩვენი საზოგადოების განვითარების ტენდენციებით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპსა და ხარისხში მკვეთრი გარდატეხის საჭიროებით.

შეეხო რა შემდეგ კოლექტიურ იჯარასა და შიდასამეურნეო ანგარიშს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოლექტიური იჯარით მომუშავეთა რიცხვმა 1982 წელს

(დასასრული მე-2 გვ.).

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა — რაც დაგეგმილია, ყველაფერი დროულად უნდა მიაწოდონ და გადასცენ, ვინაიდან რესურსებით გარანტირებული უზრუნველყოფის გარეშე იჯარა არ არსებობს. და მეორე მხრივ — რასაც გამოიმუშავებენ მექანიზატორები, მეცხოველეები, უკანასკნელ კაპიკამდე უნდა გადაუხადონ.

ახლა ყოველ ოლქსა და რაიონების უმრავლესობას შრომის პროგრესული ორგანიზაციული ფორმების წარმატებული ათვისების საკმაო პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. საჭიროა გულმოდგინე მუშაობა ადამიანებთან, თანამიმდევრული წინსვლა იქითკენ, რომ ყოველ მინდორს, თესლბრუნვას, ბრიგადის ნაკვეთს ნამდვილი, მზრუნველი, დაინტერესებული პატრონი ჰყავდეს. ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის ეს მაგისტრალური გზაა და სწორედ აქ ივსება ღრმა აზრობრივი შინაარსით გარდაქმნისა და დაჩქარების ცნებები. სწორედ ამ გზით მივალწევთ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, წარმოების დანახარჯების შემცირებას, დაბანდებული სახსრების დიდ უკუგებას, მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას.

ჩვენ ყველამ, თქვა ორატორმა, უფრო შეუპოვრად და თანამიმდევრულად უნდა ვიმუშაოთ შრომისა და მართვის ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების გადაყვანად, ეეძებოთ საუკეთესო მეურნეობების გამოცდილებაში დიდი ნაყოფიერების, წარალისების უბრალო, გასაგები და ამასთანავე ეფექტიანი ღონისძიებები.

მეტი წილი ტერატორიებისათვის ბოსტეულის, ხილის, კენკრის, ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მატების უდიდეს რეზერვად რჩება ოჯახური და პირადი იჯარა. ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი მისი სიღრმისეული შესაძლებლობების ამოქმედებას. ასეთი იჯარის ფორმები სულ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, მთავარია, რომ სარგებლობა მოუტანოს სახელმწიფოს, მეურნეობასა და ოჯახს. თათრეთის ბალტასის რაიონში პრაქტიკულად ყველა კოლმეურნის ოჯახს მოჰყავს საკვები ძირხვენები, რის შედეგადაც წვნიანი საკვებით უზრუნველყოფენ კოლმეურნეობების პირუტყვს, ხოლო ნატურალური ანაზღაურების მეშვეობით — პირადი ეზო-კარის პირუტყვს.

მომდინარე წლიდან სრული ძალით იწყებს მოქმედებას მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ყველა ღონისძიება და დებულება, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება ითვალისწინებს, თქვა შემდეგ ორატორმა. ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური ფინანსური დოკუმენტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შინაური ცხოვრების, ყველა ორგანიზაციასთან მათი საქმიანი კავშირურთიერთობების მარეგულირებელი საშუალება უნდა გახდეს.

ყველას უნდა ჰქონდეს ნათლად და მკაფიოდ წარმოდგენილი, რომ არათუ ძველი, შეუძლებელიც კია სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ მიღებული დადგენილების შესრულება, თუ დაუყონებლივ ვერ დავამყარებთ სამომხმარებლო კოოპერაციასთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნამდვილად საქმიან, ეკონომიკურად ურთიერთხელსაყრელ კავშირს.

აგროსამრეწველო კომპლექსის ახალ ეკონომიკურ მექანიზმში უდიდეს მნიშვნელობას იძენს საფინანსო-საკრედიტო ზემოქმედება ამ რთულ ინტეგრირებულ წარმოებაზე.

შარშან ბოლო წლების მანძილზე პირველად მივაღწიეთ მთლიანი პროდუქციის უპირატეს ზრდას საკრედიტო დაბანდებებთან შედარებით. ამ პირველი წარმატების საფუძვლიანად განმტკიცება შესაძლებელი გახდებოდა თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადასვლის პირობებში. წლეულს ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 23 პროცენტი უნდა გადავიდეს თვითდაფინანსებაზე.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საქმიანობასთან და აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიმდინარე საქმეებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საშემოდგომო ნათესი. უკვე დღეს ცხადია, რომ მისი ნაწილი ხელახლა დათესვას მოითხოვს. საამისოდ ყველაფერი საგულდაგულოდ უნდა მომზადდეს.

ბოლო სამ თვეში მეურნეობებმა წინა ზამთართან შედარებით 10 პროცენტით მეტი ხორცი და 9 პროცენტით მეტი რძე აწარმოეს. მაგრამ იმისათვის, რომ არ შეგანელოთ ეს ტემპი, საჭიროა მუყაითი მუშაობა, განსაკუთრებით — გამოზამთრების საბოლოო სტადიაზე. მეცხოველეობაში ყველაზე ძნელი პერიოდია ხოლმე მუშაობის ზამთრის რეჟიმიდან საგაზაფხულო-საზაფხულო რეჟიმზე გადასვლა. თუ ადგილებზე დროულად არ იღონეს ყველაფერი, გამოზამთრების საბოლოო ეტაპზე შეიძლება უსაკვებოდ დავრჩეთ. ამიტომ ახლავე უნდა გავუძღეროთ კონტროლი საკვების ხარჯვას, გამოვნახოთ საკვები რესურსების შევსების დამატებითი წყაროები. ყველა საკვებმა საამქროებმა სრული სიმძლავრით უნდა იმუშაოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდეულის შენარჩუნების საკითხებს. ქვეყნის მეცხოველეთა ამოცანაა არა მარტო შეინარჩუნონ, არამედ დაიჩქარონ კიდეც წარმოების მატების ტემპი.

დარგში მომხდარი დადებითი ძვრების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი და სწორი გამოყენებისაკენ დასახული შემობრუნების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და ფერმების პროდუქტიულობაზე უარყოფითი ზეგავლენის მომხდენი ნეგატიური მოვლენების, კვებისა და გადამამუშავებელი საწარმოების არამწარმოებლური მუშაობის, პროდუქციის დიდი დანაკარგებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების, ახალი საქმისადმი ახლებური მიდგომის შესახებ ილაპარაკეს მოსკოვის ოლქის „რამენსკის“ აგროსამრეწველო კომბინატის გენერალურმა დირექტორმა კ. ვ. კუნიკემ, სტავროპოლის მხარის „სტავროპოლსკის“ საწარმოო საბჭოროლერო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ვ. ი. პოსტნიკოვმა, „თბილისრძის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა დ. ს. დათოშვილმა, ნოვოსიბირსკის ოლქის ორდინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარემ ი. თ. ბუგაკოვმა და ბორკის ოლქის კოვერნინოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. გ. ვაგინმა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპისა და ხარისხის მკვეთრ გარდატეხაში, სოფლის სოციალურ გარდაქმნაში ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტ როლს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, კოლექტიური იჯარისა და შიდასამეურნეო ანგარიშის უფრო გაბედული დანერგვის საჭიროებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის მნიშვნელობას, სასურსათო პროგრამის წარმატებული შესრულებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას გაუსვეს ხაზი თავიანთ გამოსვლებში რსფსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ლ. ბ. ერმინმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ა. ნიკონოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ა. მოზგოვიმ, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. ანტონოვმა, ვიტებსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პ. კულაკოვმა, ესტონეთის სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ჰ. ტ. ველდიმ.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. კ. ლიგაჩოვი.** მან თქვა:

ეს თათბირი, რომელიც ეკონომიკის აგრარულ სექტორში შრომის ნაყოფიერების გაზრდას ეძღვნება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებულ დროს მოიწვია. ქვეყანაში ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის იდეების, პარტიის XXVII ყრილობის მითითებებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის დებულებების შესაბამისად ღრმა გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს. საზოგადოების მთელი ცხოვრება დიდ ცვლილებებს განიცდის. მატულობს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს თვისებრივი პროგრესისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის სიმძაფრე.

პარტიის კურსის ერთსულოვანი, საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა გვარწმუნებს, რომ საბჭოთა ადამიანებს, არ სურთ იცხოვრონ ძველებურად, შეურიგდნენ უძრაობას. ქვეყანაში განმაახლებელი, თავისი არსით რევოლუციური მუშაობა მიმდინარეობს. ვ. ი. ლენინის სიტყვებს თუ ვიხმართ, ხდება საბჭოთა სისტემის დახვეწა და გადაკეთება, მაგრამ უკვე ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

პარტიის პოლიტიკური კურსის მატერიალიზაცია იოლი საქმე არ არის. იგი მოითხოვს მთელი არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებას, დინამიზმსა და ინიციატივას, გაბედულსა და გერგილიანობას, დემოკრატიზმის გაღრმავებას, საჯაროობის გაფართოებას. კრიტიკა და აღმშენებლობა, რომ იტყვიან, გვერდიგვერდ მიაბიჯებენ დღეს.

გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსისა და მისი მთავარი რგოლის — სოფლის მეურნეობისათვის. ეკონომიკის სწორედ ამ სფეროს წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესრულება. აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის ხარჯზე ყალიბდება საცალო ტვირთბრუნვის 70 პროცენტზე მეტი.

აგროსამრეწველო კომპლექსში კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. მაგრამ, როცა ობიექტურად ვაფასებთ მიხი განვითარების შედეგებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ, რომელმაც სათავე დაუდო მართვის დამოუკიდებელ ობიექტად აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებას, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ აქ მთელი რიგი დამამედებელი დადებითი ტენდენციები დაისახა.

ჯერ ერთი, გარკვეული სტაბილურობა შეიძინა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდამ. ხორცის წარმოება ამ წლებში გაიზარდა 12 პროცენტით, რძისა — 8, კვერცხისა — 12 პროცენტით. აი უკვე ზედიზედ ოთხი წელია სრულდება მეცხოველეობის პროდუქციის შესყიდვის გეგმები.

მეორე, მიწათმოქმედებაშიც და მეცხოველეობაშიც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ინტენსიური ტექნოლოგიები. იმაში, რომ ქვეყანამ განვლილ წელს 210 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული მიიღო, არსებითია ამ ფაქტორის გავლენა.

მესამე, მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა. მაისის პლენუმის შემდეგ (მანამდე და შემდეგ ოთხ წელიწადში) ზარალიან მეურნეობათა რიცხვი სამჯერ და მეტად შემცირდა.

მეოთხე, მეტი სოციალური მიზანდასახულობის მიმართულებით შეიცვალა საინვესტიციო პოლიტიკა სოფლად. თუ ოთხ წელიწადში მაისის პლენუმამდე არასაწარმოო სფეროს მოხმარდა 28 მილიარდი მანეთი, ანუ კაპიტალურ დაბანდებათა მთელი მოცულობის 17 პროცენტი, პლენუმის შემდეგ — 41 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ დაახლოებით 23 პროცენტი.

და ბოლოს, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა ეხამება პრაქტიკაში ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვას, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენელი მისი პარტნიორების ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის მოწესრიგებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ დიდ ყურადღებას უთმობს აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობას, ქვეყნის სასურსათო ფონდის ფორმირებას. მარტო ბოლო ხანს ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დაჩქარებული და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის უკრაინის, ყაზახეთის, ვორონეჟის ოლქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

სხვათა შორის, უკრაინისა და ყაზახეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ანგარიშები სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პირველად განვიხილეთ ბოლო ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში. როგორც ზედავთ, ცენტრალური კომიტეტი ზედმეწევნით ასრულებს ყრილობის მითითებას იმის თაობაზე, რომ პარტიაში არ უნდა იყოს კრიტიკისაგან დაცული, კონტროლს დაუქვემდებარებელი ორგანიზაციები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო შეუწყნარებლად აყოვნებენ აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის გარდაქმნას პარტიის მოთხოვნების შესაბამისად. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკრაინა სახელმწიფო რესურსებისათვის მარცვლეულის მიმწოდებლიდან მის მომხმარებლად იქცა. მცირდებოდა რესპუბლიკის მიერ საკავშირო ფონდში მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდება. ყაზახეთში ხელმიშვებულია მეცხოველეობა. მას აქ ექსტენსიური გზით ეწევიან. აშკარაა დიდი ჩავარდნები და უკუსვლა.

იმისათვის, რომ სტაბილურად მოვამარაგოთ ქვეყანა სურსათით, განვთავისუფლდეთ მარცვლეულის იმპორტისაგან, შეექმნათ საიმედო რეზერვები, უნდა უზრუნველვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი პოტენციალისა და ამ დარგისათვის გამოყოფილი რესურსების უკუგების მატება.

ამ ამოცანის დაწყვეტის მთავარი გზებია მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების და, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ანგარიშისა და შიდასამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის დანერგვა, სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა მუშაკების კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, წარმოების მართვის სფეროში დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოება. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გზრდის შესახებ.

მომდინარე წლიდან აგროსამრეწველო კომპლექსმა ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად ახალი ეკონომიკური მექანიზმის პირობებში დაიწყო მუშაობა. მისი სრულყოფის პრინციპული მიმართულებები დასახულია სკკპ XXVII ყრილობის მასალებში და ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში.

ახალი მთლიანი სამეურნეო მექანიზმის შექმნის მიზანშეწონილობა ნაკარნახევია სოციალური ხასიათის ცვლილებებითაც, კერძოდ, ადამიანების განათლების დონის ამაღლებით, მათი მისწრაფებით აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოების მართვაში. ახლა, როგორც იტყვიან, ადმინისტრაციული მეთოდებით არათუ შორს ვერ წახვალ, უკანაც კი დაიხევ. ეს, სხვათა შორის, დამაჯერებლად გვიჩვენა ჟურნალ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ცნობილმა საბჭოთა სოციოლოგმა, აკადემიკოსმა ტატიანა ივანეს ასულმა ზასლავსკაიამ.

ი. კ. ლიგაჩოვი დაწვრილებით შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ადამიანის ფაქტორის გაქტიურების ძირითად მიმართულებებს და ამასთან დაკავშირებით პარტიული კომიტეტების ამოცანებს.

მართვის ეკონომიკური მეთოდები, თქვა შემდეგ ორატორმა, უპირატესი უნდა იყოს, მართვის სტილი კი საქმიანი, ადგილებზე საქმის ორგანიზაციაზე გამახვილებული, მინიმალურად საჭირო სხდომებით და თათბირებით, მმართველობითი დოკუმენტაციის მინიმალურად საჭირო რაოდენობით. მართვის ორგანოები ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს კი არ უნდა წარმართავდნენ, რაც მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კომპეტენციას განეკუთვნება, არამედ ეკონომიკას, კადრებს სწავლებას, სიახლეთა დანერგვას, სოციალურ საკითხებს, გეგმაზომიერებისა და პროპორციულობის უზრუნველყოფას აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში. ერთი სიტყვით, მომწიფდა საკითხი, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანოთ არა მარტო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, არამედ მათი მართვის ორგანოებიც — სახაგრომრეწვის მთელი სისტემა, და უწინარეს ყოვლისა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები და საოლქო აგროსამრეწველო კომიტეტები.

ორატორი შეეხო მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს მშენებლობაში, საკითხებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში სპეციალიზაციისადმი ყურადღების გაძლიერებას უკავშირდებიან. დაახასიათა რა სოციალური ფაქტორები, მან ხაზი გაუსვა, რომ დაისახა დიდი ძვრა სოფლის სოციალური გარდაქმნის მმართველებით. მაგრამ ჩვენ ჯერ ეს-ეს არის დავადექით ამ გზას. განსხვავება კეთილმოწყობილი ბინით ქალაქისა და სოფლის მცხოვრების უზრუნველყოფაში კი არ კლებულობს, მატულობს. წინ გველის დიდი მუშაობა აგრარული სექტორის სოციალური სფეროს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისათვის.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თქვა:

იმისათვის, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგათ აგრარული სექტორის განვითარების ტემპის გასაძლიერებლად, სერიოზულად უნდა ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, აგროსამრეწველო კომპლექსის მთელი სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახლა თითქმის სამი მილიონი კომუნისტია დასაქმებული. სამე უწინარეს ყოველისა ეხება იმას, რომ პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული საქმიანობა ორგანულად ეხამებოდეს აგრომრეწვის ორგანოების თანამიმდევრულ მოქმედებას პროგრესული ტექნოლოგიებისა და შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მოწინავე ფორმების დასანერგავად. პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა ადამიანების ინიციატივასა და ენერგიას უნდა შეეფხამოთ. რა თქმა უნდა, პარტიული კომიტეტისათვის მთავარი ბერკეტი კადრებია. სწორედ კადრები— როგორც წმინდა პარტიული საქმე — მოითხოვს პარტიული კომიტეტების დიდ ყურადღებასა და დიდ მეცადინეობას.

ორატორმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ სოფელს საშუფო დახმარება უნდა გაუძლიერონ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებმა, და ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სოფლისადმი ქალაქის დახმარების ტრადიციას ჯერ კიდევ დიდმა ლენინმა ჩაუყარა საძირკველი. საშუფო დახმარებას უნდა ვაფუძნებდეთ სახელშეკრულებო საფუძველზე და ისე ვუწევდეთ, რომ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მთლიანად შრომითი კოლექტივები ამაყობდნენ, რომ თავიანთი წვლილი შეაქვთ სოფლის განვითარებაში. ასეთი ატმოსფერო ყოველ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში უნდა შეიქმნას.

დასასრულ ი. კ. ლიგაჩოვმა თქვა: იჯარით მომუშავე კოლექტივების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ჩვენს აგროსამრეწველო კომპლექსს უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ჩვენ ძალიან ნელა ვამოქმედებთ მათ. კიდევ ერთხელ გამოგვაქვს დასკვნა, რომ ჩვენი მთავარი სიმდიდრეა ადამიანები, დაჩქარების მთავარი რეზერვია — ადამიანის ფაქტორის გააქტიურება. და ჩვენ უთუოდ მივაღწევთ სასურველ შედეგს, თუ გარდაქმნის ენერგიით დავმუტხვთ მშრომელთა მასებს, ყველგან შეავქმნით დასახული გეგმების გადაჭრიბებისადმი დაუცხრომელი მისწრაფების ვითარებას.

შეაჯამა რა განხილვის შედეგები, **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა:

ამხანაგებო, მე მგონია საერთოდ თათბირზე საუბარი გამოგვივდა. მხედველობაში მაქვს მოხსენებაც და გამოსვლების დიდი ნაწილიც. ისინი ბევრ მნიშვნელოვან განზოგადებას, პოზიციური და ნეგატიური თვალსაზრისის დამაჯერებელ ფაქტს შეიცავდნენ, მაგრამ ერთიც და მეორეც ჭკუის სასწავლია. თათბირმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა: აგროსამრეწველო კომპლექსში მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ სერიოზულად წავიწოთო წინ — გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ახლანდელ ეტაპზე წინა პლანზე დადგა სოფლად შექმნილი პოტენციალის გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანა. ახლაც რომ ვიხმაქმ განაგრძოს უმთავრესად იმისათვის გარჯა, რომ რაც შეიძლება მეტი მიიტაცოს, რაც შეიძლება მეტი სახსრები მოიპოვოს, უკიდურესად უხეშ შეცდომას დაუშვებს. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ ბოლო 10-15 წლის მანძილზე ბევრ ოლქში, მხარესა თუ რესპუბლიკაში ფონდები 1,5 — 2-ჯერ იზრდება, პროდუქციის წარმოება კი ნელი ტემპით მატულობს. ამიტომ ამოცანათა ამოცანაა ავამაქმედოთ სოფლად შექმნილი პოტენციალი. მე მგონი, ბოლო წლებმა ყველა დაგვარწმუნა ამაში. ახლა გვჭირდება მეურნეობრიობის მიქანიზმი, რათა ის, რაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია, და ისიც, რაც კიდევ ამოქმედდება ამ ხუთწლედში, უკუგებას იძლეოდეს, მკვდარ კაპიტალად არ იდოს. და ასეთი მექანიზმი აგროსამრეწველო კომპლექსში ახლა ყალიბდება. შეიძლება ისე მოხდეს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსმა მაგალითი მისცეს ეკონომიკის სხვა დარგებს იმ მხრივ, რაც მუშაობაში ახალი მიდგომის დანერგვას ეხება.

შრომის დიდი ნაყოფიერების, წარმოების ზრდის გზა ინტენსიურ რელსებზე, ახალ ტექნოლოგიასა და ადამიანის ფაქტორის გააქტიურებაზე გადასვლას გულისხმობს. ეს გზა დადის მართვისა და მეურნეობრიობის მექანიზმის სისტემის სრულყოფაზე, სოფლად სოციალური პირობების გარდაქმნაზე. აი, კერძოდ, ამ მექანიზმის დედააზრი. და დღეს ეს უბრალო მსჯელობა არ გახლავთ. ეს ის არის, რაც უკვე მოვსინჯეთ ბევრ რესპუბლიკაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ერთი სიტყვით, ჩვენ მოვმზიდოთ იმისათვის, რომ პრაქტიკულად ავამაქმედოთ აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალი და კარგი უკუგება მივიღოთ.

თუ ეს ყველაფერი ნათელია, მაშინ პირველ ადგილზე დგება აგროსამრეწველო კომპლექსში ჩვენი კადრების და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, სპეციალისტების, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა მუშაკების მუშაობის საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ საქმის ჭკვიანურად გაძღოლა. მე მხურვალედ დავუჭერდი მხარს აზრს, რომელიც რამდენიმე სიტყვით გამოთქვა ამ თათბირზე ამხანაგმა მიხეილ გორელოს ძე ვაგინმა. მან თქვა: „ოდიდო ხელს ნუ შევუშლით ერთმანეთს“. ეს მარტო ერთი შეხედვით მოჩანს იუმორისტულ გამოთქმად, სინამდვილეში კი აქ ღრმა აზრი ძევს: ყველამ კარგად უნდა აკეთოს თავისი საქმე, და მაშინ წარმატებთ გადაწყდება დასახული ამოცანები.

მართლაც, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულაც არ არის ვალდებული ასრულებდეს ფერმის გამგის, საამქროს ხელმძღვანელის ან ბრიგადირის საშუშაოს. მაგრამ, იგი ვალდებულია დროულად და მოლიანად შეასრულოს ის, რასაც მოიჯარე კოლექტივთან კოლმეურნეობის გამგრობის მიერ დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს.

ჩვენ ჯერჯერობით ვერც რაიონულ აგროსამრეწველო კომპლექსში გვაქვს ყველაფერი ... ბევრმა მათგანმა ... ვისი როლი, თავმჯდომარეებსა და დირექტორებზე ბრძანებლობა სურთ. ეს არ ვარგა, ამხანაგებო. ნურავის ეგონება, თითქოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და 40-50 სპეციალისტმა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შუშაკებზე უარესად და ნაკლებად იციან, რა უნდა აკეთონ და როგორ გაუძღვნენ საქმეს. ეს ისევ და ისევ სხვა არაფერია, თუ არა ადმინისტრირება, ცდა იმისა, რომ ახალი ფორმა გამოიყენონ მუშაობის ძველი, ბიუროკრატიული მეთოდების შესანარჩუნებლად. და კიდევ. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო, რომელშიც საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები შედიან, გაერთიანების მთავარი ორგანოა. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, მისი აპარატი საბჭოს ნების აღმსრულებლები არიან.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის მთავარია, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შეეძლოს თავისი პოტენციალის გამოვლენა და ყველაფერი, რასაც იგი აწარმოებს, მომხმარებლის სუფრაზე მოხვდეს. მასზე აქ ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ახლა მეურნეობებს უნდა დაეხმაროთ ახალი მეთოდების ათვისებაში, დავეხმაროთ რჩევა-დარიგებით, მოვთხოვოთ ეკონომისტები, მეცნიერები, მაგრამ, ვიმეორებ, არ უნდა ვიკისროთ მეურნეობათა ხელმძღვანელების ფუნქციები.

და სულ აღარაფრად ვარგა, როცა პარტიის რაიკომი ახალ ვითარებაში წინანდებურად მოქმედებს. ვერაფერი გაუგიათ იმ რაიკომის მდივნებსა და სასოფლო რაიკომების ბიუროებს, თუ ისინი ახლაც ვერასგზით ვერ შელევიან ადმინისტრირებას და პარტიის მიერ დაგმობილ მუშაობის სხვა ფორმებსა და მეთოდებს. რაიკომის ამოცანაა იზრუნოს იმისათვის, რომ პოლიტიკა, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის მიმართ შევიმუშავეთ, თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს და არ მრუდდებოდეს. მისი ამოცანა ის არის, რომ სწორად გაანაწილოს კადრები და მხარი დაუჭიროს მთავარ ორგანიზატორულ და პოლიტიკური მუშაობის საშუალებებით.

თავის მხრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოებიც დროულად უნდა წყვეტდნენ ყოფა-ცხოვრების სფეროსთან, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს, საბინაო, კულტურული, საგზაო მშენებლობისა და კიდევ მრავალ სხვა საკითხს. ეს ყველაფერი კი ძალიან მნიშვნელოვანია, ხელს შეუწყობს კადრების დამკვიდრებას, შრომითი კოლექტივების სტაბილიზაციას.

მოკლედ, ყველანი კეთილსინდისიერად უნდა წყვეტდნენ თავიანთ საქმეებს და მართლაც არ უშლიდნენ ხელს ერთმანეთს. საერთო საქმე ამით დიდად მოიგებს.

მაშ მოდით, ამხანაგებო, გარდავიქმნათ გაბედულად, აქტიურად, საქმიანად. ჩვენი აგროსამრეწველო კომპლექსი მომწიფდა დიდი წინსვლისათვის. ეს ყველაზე სწორი დასკვნა იქნება, რომელიც ყველამ უნდა გამოვიტანოთ დღევანდელი მსჯელობიდან თუ ერთმანეთს სიტუაციის ასეთი გაგებით დავშორდებით და გამოტანილ დასკვნას პრაქტიკული საქმეებით შევასხამთ ხორცს, თუ ყველანი პასუხისმგებლობით გადავწყვეტთ იმას, რაც გვაკისრია, მაშინ, ამხანაგებო, საქმე აგროსამრეწველო კომპლექსში უთუოდ წინ წავა. და წავა უფრო სწრაფად.

(საბჭესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 24 იანვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ თ. შ. კაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი თამარ შალვას ასული **კაბულოვა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 24 იანვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ ვ. პ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან პენ

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

4-დან 16-მდე

— სად გაგონილა იეხფერი ხელები? — გაკვირვებით იკითხა ქალმა.

— რას ამბობ, დედა! როგორ არ გაგონილა. უყურე, ნამდვილი გეგონებოდა! — აღმოხდა ექვსოდე წლის შავთვალწარბა ბავშვს.

ეს საუბარი მიმდინარეობდა თბილისის ბავშვთა ფოტოსურათების გალერეაში „ტყის პეიზაჟის“ წინ, რომელიც მრავალი კონკურსის გამარჯვებულ ირაკლი ბაძეს დაუხატავს. ჩვეულებრივ, ბავშვი ხატვას ფანჯრით იწყებს, ირაკლიმ კი პირდაპირ საღებავებით დაიწყო. თანაც აკვარელისთვის ყოველდღიურად ფერებს ირჩევს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუსუდან ბეტვაშვილის ნამუშევრები. ხატვა ორი წლისას დაუწყია. იქნებ იმიტომ, რომ უამრავი ზღაპარი იცის, საოცრად მდიდარი ფანტაზია აქვს. მისი ხელოვნების სამყარო მუდამ ხალისიანია.

ბერძნობ, წლითიწლობით როგორ იზრდებიან ბავშვები და ამის კვალობაზე იხვეწება მათი ოსტატობა. მაგალითად, გალერეის ერთ-ერთ დარბაზში გამოკიდულია სანღრო ერისთავის გრაფიკული ნაშედევრები. მათგან ნორჩ მხატვარს პირველები ფერ კიდევ მაშინ დაუხატავს, როცა ცხრა წლისა იყო. უკვე მაშინ განისაზღვრა მისი საყვარელი ფერები. მშვენიერია „მთის პეიზაჟი“, რომელშიც ცალ აწვდილი კლდეების ფონზე ჭენებით მიჰქრის მხედრების რაზმი...

გალერეის ზემო სართული დათმობილი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა ნახატების გამოფენას. ამას წინათ გამოფენას შეემატა ნამუშევრები, რომლებიც საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საერთაშორისო ასოციაციის წევრმა აკო ოტამ ჩამოიტანა. ეს ასოციაცია ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსებს აწყობს ხოლმე. უკანასკნელად ასეთი კონკურსი იაპონიაში გაიმართა. და აი, ახლა უცხოეთიდან ჩამოტანილი 300 ნახატი წარმოდგენილია თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში.

ეს გალერეა უკვე თხუთმეტ წელზე მეტი ხნისაა. მის დაფუძნებაში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი. მისი დახმარებით ნორჩ მხატვრებს საშუალება მიეცათ ძველი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს სახლში გამოეფინათ თავიანთი ნამუშევრები.

4-დან 16 წლამდე ბავშვებისათვის აქ შექმნილია ძერწვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და თავისუფალი ხატვის ჯგუფები. სწორედ რომ, თავისუფალი, აქ ხომ ყველა მოდის, ვისაც ხატვა სურს.

ტ. კონსტანტინოვა.
„პრავდა“. 1987 წ. 28/1.

საბჭოთა კულტურის ფონდი: მოქმედების პროგრამა

საბჭოთა კულტურის ფონდის დამფუძნებელი კონფერენციის გადწყვეტილებისა — მეტი რეალური პრაქტიკული საქმე — განხორციელებას შეუდგა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამგეობა. ოსლოსგში მისი პრეზიდიუმის პირველი სხდომა გაიმართა.

შეხვედრის განხილვას გამგეობის თავმჯდომარეს აკადემიკოსს დ. ს. ლიხაჩოვს დამსწრეთ შეახსენა, რომ ჩვენი საზოგადოების ... ზნეობრივი აღორძინების ... ითარებაში შობილი ფონდის ... ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველაფრის შენარჩუნება, ... ასაც სამშობლოს კულტურული ... ემკვიდრეობის ცნება მოიცავს. ... ანამა უნდა იცოდეს რა სულ ... ერი ღირებულებების გარემოვლა ცხოვრობს და გრძნობდეს ... ერად პასუხისმგებლობას მათი ... დგომარეობისთვის. მხოლოდ ... ყალიბდება პატრიოტიზმის ... ნობა — მას მოწოდებებით ... ერ დარეგავ, მაგრამ მისი გუ ... ისმიერად განვითარება კი აუცილებელია.

ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა ... ეყოს ხელი გრძელვადიანმა ... ნობრივმა პროგრამებმა, რომლებმაც საბჭოთა კულტურის ფონდის საქმიანობის მიმართულებები ... განსაზღვრეს. მათ შესახებ ... ბლომას მოახსენა ფონდის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა ... ადგილემ გ. ვ. მიასნიკოვმა.

პროგრამა „ხსოვნის“ ფარგლებში ... ნაკარაუდევია აღდგეს მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ყოველმხრივი განვითარებისა და წახალისების ლენინური ტრადიციები, რაც საბჭოთა ეროვნებებისა და ინტერნაციონალიზმის ფორმირების, ხალხის ისტორიულ-რევოლუციურ ტრადიციებთან შეზრდილთა თანაბარობის საფუძველია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს რევოლუციურ მოვლენებთან, საბჭოთა სახელმწიფოს შენებლობასთან დაკავშირებული ახალი ძეგლების შექმნას და არსებულებისადმი სათუთ დამოკიდებულებას.

საბჭოთა კავშირის ხალხების კულტურის ერთ-ერთ მწვერვალად სამართლიანად არის მიჩნეული პუშკინის დიდი მემკვიდრეობა. მის ფართო ათვისებასთან არის დაკავშირებული გრძელვადიანი პროგრამა „თაობათა გულებში“ („პუშკინი და ჩვენ“). მისი პირველი სტრიქონები უკვე დღეს იწერება, პოეტის დაფუძვის 150 წლისთავისათვის მზადების დღეებში. ხოლო 1999 წლისათვის, როცა რუსეთის სასიქადულო შვილის დაბადების 200 წლისთავი აღინიშნება, დასახულია პუშკინის ყველა მემორიალის კომპლექსური სარესტავრაციო პროგრამის განხორციელება.

ეროვნულ სოციოლოგიურ კვლევას, კომპავშირთან და კულტურის ორგანიზაციებთან აქტიურ ურთიერთმქმედებას მოითხოვს „ახალგაზრდობისა და კულტურის“ პროგრამის შემუშავება, რომელიც აგრეთვე წარდგენილია განსახილველად.

მოიწონეს რა წამოყენებული პროგრამები, ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი წარმატებული შესრულება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ადამიანების, ფართო საზოგადოებრიობის დაინტერესებულ, აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციისა და ინიციატივაზე. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებული როლი: საჯაროობაზე დაყრდნობს, სხდომის მონაწილეთა აზრით, შესაძლებელს გახდის ფონდის საქმიანობაში მოსახლეობის უფართოესი ფენების, ყველა იმის ჩაბმას, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ხალხის სულიერ და ისტორიულ ხსოვნას რომ წარმოადგენს.

პრეზიდიუმმა განიხილა და დამტკიცა დებულება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში საბჭოთა კულტურის ფონდის განყოფილებების შესახებ.

(საკ.ინფორ.).

ვეტერანების დახმარება ჩვენი ვალია

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება მოხუცებისა და ინვალიდების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ზ. კრასავჩენკო გვიამბობს, თუ რა გაკეთდება ახლანდელ ხუთწლედში ამ კატეგორიის მოსახლეობის საჭიროებისა და მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

— სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად ... ვეს ქვეყანაში თანამიმდევრულად ხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ... ეუმჯობესების ღონისძიებანი. პენსიები და შეღავათები მოემატათ ... ომისა და შრომის ვეტერანებს, ინვალიდებს, დაღუპულ მეომართა ... ჯახებს. გაიზარდა კვებისა და მედიკამენტების ხარჯების ნორმები ... ოხუცებისა და ინვალიდებისთვის, განკუთვნილ სახლ-ინტერნატებში. უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი ცხოვრება. ამასთან ერთად მატულობს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

— დიახ, ეს ასეა. მოხუცი ადამიანების რიცხვი იზრდება. უფრო მეტად უნდა ვზრუნავდეთ მათთვის, რასაც აკეთებენ კიდეც ჩვენი პარტია და სახელმწიფო. უმჯობესდება მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურება, თავისუფალი დროის ორგანიზაცია. მაგალითად, იმათ შესანახად, ვინც სახლ-ინტერნატებში ცხოვრობს, სახელმწიფო ყოველწლიურად ნახევარ მილიარდზე მეტ მანეთს — კაცზე თვეში ას მანეთზე მეტს ხარჯავს. მაგრამ, დღეს მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ყველგან და ყოველთვის როდი უთმობენ სათანადო ყურადღებას.

მაგალითად, არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სახლ-ინტერნატებზე, განსაკუთრებთ რუსეთის ფედერაციაში, უკრაინისა და უაზახეთის სს რესპუბლიკებში. ყოველწლიურად იფუძნება მათი მშენებლობის დავალებები. მარტო გასულ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ არ გადაეცემა გეგმით გათვალისწინებული 17 ათასი ადგილი ამ დაწესებულებებში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალათ სახლ-ინტერნატები აშენონ ზუსტად წლიური დავალებების შესაბამისად და აამოქმედონ 75 ათასი ადგილი, სამინისტროებისა და უწყებების, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ხაზით — 18 ათასი ადგილი. მაშინ მოთხოვნილება მათზე ძირითადად დაკმაყოფილდება.

— როგორ არის გათვალისწინებული მოხუცი მოქალაქეების მომსახურების გაუმჯობესება, ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა?

— ქვეყანაში შეიქმნება 75 სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრი, სადაც მუდმივად, დროებით და დღისით იცხოვრებენ პენსიონერები. აქ ისინი მიიღებენ სამედიცინო დახმარებას, კვებას, სურვილისამებრ იშრომებენ შეძლებისდაგვარად, შინაარსიანად და კულტურულად გაატარებენ თავისუფალ დროს. ამასთან ერთად გაგრძელდება მუშაობა მარტოხელა ხანდაზმულებისა და შრომისუუნარო ადამიანებისათვის შინ სოციალური დახმარების გაწევის განყოფილებათა ორგანიზაციის მეზნით.

მიღებულია სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის წინადადება, რომ მისი სახსრების ხარჯზე განვითარდეს საპატრონაჟო სამსახური ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, შინ სამედიცინო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარების გასაწევად.

ჩვენი მრეწველობა აითვისებს მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და ისეთი მოწყობილობის წარმოებას, რომელიც გაადვილებს ხანდაზმულ ადამიანების მომსახურებას სახლ-ინტერნატებში, ტერიტორიულ ცენტრებში და შინ, აგრეთვე გაფართოებს სპეციალური ავეჯის გამოშვებას. დასახულია ახალი საპრეტეზო-ორთოპედიული საწარმოების აშენება და ძველების რეკონსტრუირება, რაც მნიშვნელოვნად გაუჯობესებს ინვალიდების მომარაგებას პროთეზებით და სპეციალური ფეხსაცმლით. განხორციელდება სხვა ღონისძიებებიც.

— ვეტერანებისათვის ზრუნვა, რომელთაგან ბევრი პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის, შრომითი ფრონტის აქტიური მონაწილეა, მარტო სახელმწიფოს კი არა, იმ კოლექტივების საქმეც არის, სადაც მათ დიდხანს იმუშავეს, სადაც ძალ-ღონეს და ცოდნას არ იშურებდნენ საზოგადოების საკეთილდღეოდ. სხვათა შორის, ეს ნათქვამია სსრ კავშირის კანონში შრომითი კოლექტივების შესახებ. როგორ იხდიან ისინი თავიანთ ვალს?

— შრომითი კოლექტივები და მათი პროფკავშირული ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, არ ივიწყებენ თავიანთ ვეტერანებს, უწევენ მათ სხვადასხვანაირ დახმარებას; უზრუნველყოფენ ბინით, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შეღავათიანი საგზურებით, სამედიცინო მომსახურებით. სამწუხაროდ, ყველგან ასე არ ხდება. ხანდახან ჯერ კიდევ ივიწყებენ ხოლმე მარტოხელა ვეტერანებს, ანუ იმათ, ვისაც ნათესავი და ახლობელი არ ჰყავს. არადა, მათი გამხნევებისათვის, კარგი გუნება-განწყობილებისათვის ხომ არც ისე ბევრია ხოლმე საჭირო: შეიძლება მისალოცი ბარათის გაგზავნა, კოლექტივში მიწვევა, ადამიანური გულისხმიერება. თითოეული ჩვენგანის ვალია ყოველთვის გამოვიჩინოთ ყურადღება ომისა და შრომის ვეტერანებისადმი, რომლებმაც თავის დროზე დიდი ღვაწლი დაგვდეს.

„საქართველოს კომუნისტი“ №1

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ნომერი იხსნება მოწინავე წერილით — სამომავლოდ შემართული სამყარო.

აწმყოგით „სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები“ გამოქვეყნებულია წერილები: ა. ბრეგაძისა — ჰუმანიზაციის გზით; გ. მალაშხიასი — ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ეტაპი.

რუბრიკით „70 წელი ოქტომბრის გზით“ დაბეჭდილია გ. ასატრიანის — საბჭოთა სომხეთი — რევოლუციის ღვიძლი შვილი.

აწმყოგით „პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის კურსით“ გამოქვეყნებულია: სარედაქციო წერილი — პარტიის რაიკომი და პერსონალური პასუხისმგებლობა; ე. კოდუას — პარტიული კომიტეტი და შრომის დისციპლინის გაძმტკიცება; ა. ბეკანიშვილის — მათი წვლილი დაჩქარებაში.

ჟურნალში ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები განყოფილებისა „სამეურნეო საქმიანობის ახალი პირობები: პრობლემა, გამოცდილება, მეთოდოლოგია“. თქვენ აქ გაეცნობით წერილებს: ჯ. ჩხიკვაძისა — გეგმური ფასი დაჩქარების პირობებში; ვ. ფარულავასი — ახალი მიდგომის რეალური უპირატესობანი; თ. ქავთარაძისა — კოოპერირების ეფექტი.

აწმყოგით „ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციისათვის“ გამოქვეყნებულია: ე. ნაცვლიშვილის — აწყურის ფენომენი; ჯ. მაზმანოვას — თავისუფალი დროის პედაგოგიკა; ი. ახუაშვილის — კულტურის დაწესებულებები ახალ მოთხოვნათა დონეზე.

ახალი რუბრიკით „შემოქმედებითი ძიებანი, დისკუსიები“ დაბეჭდილია — ლიტერატურა—პარტიულობის პოზიციიდან.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მეცნიერება — წარმოების“; „მოძმე ქვეყნებში“; „მსოფლიო დღეს“; „წიგნის თარო“.

ორიოდ სიტყვით

□ საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1814“ და „კოსმოს-1815“. თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურები ნორმალურად მუშაობენ და განაგრძობენ კოსმოსური სივრცის კვლევას.

□ დიდი ოქტომბრის ისტორიული მსვლელობის დღიურად აღიქმება გრაფიკული ფურცლები „ფინეთის ვაგზალთან“, „ოქტომბრის მტაბი“, „იერიშის წინ“, „რევოლუცია მოსდა“... რევოლუციური დღეების ამ თავისებური ენციკლოპედიის ავტორია რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვარი ი. რიაზანოვი. მისი ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

□ თბილისის ჟურნალისტის სახლში ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო გაიმართა. საღამოს თემა იყო „ქართული ლექსი სომხურად, სომხური — ქართულად“.

დიდი აკაკის სიტყვები „შენ სომეხი ხარ, მე კი ქართველი, და მაინც ღვიძლი ძმები ვართ ჩვენ“ ლაიტმოტივად გასდევდა ამ გულთბილ შეხვედრას, რომლის ვიდეოჩანაწერის ჩვენება აქვს დაგეგმილი სომხეთის ტელევიზიას. საღამოში მონაწილეობდა მომძმე სომხეთის ჟურნალისტების დელეგაცია.

ᲔᲗᲘᲞᲘᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ნომერი იხსნება მოწინავე წერილით — სამომავლოდ შემართული სამყარო.

აწმყოგით „სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები“ გამოქვეყნებულია წერილები: ა. ბრეგაძისა — ჰუმანიზაციის გზით; გ. მალაშხიასი — ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ეტაპი.

რუბრიკით „70 წელი ოქტომბრის გზით“ დაბეჭდილია გ. ასატრიანის — საბჭოთა სომხეთი — რევოლუციის ღვიძლი შვილი.

აწმყოგით „პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის კურსით“ გამოქვეყნებულია: სარედაქციო წერილი — პარტიის რაიკომი და პერსონალური პასუხისმგებლობა; ე. კოდუას — პარტიული კომიტეტი და შრომის დისციპლინის გაძმტკიცება; ა. ბეკანიშვილის — მათი წვლილი დაჩქარებაში.

ჟურნალში ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები განყოფილებისა „სამეურნეო საქმიანობის ახალი პირობები: პრობლემა, გამოცდილება, მეთოდოლოგია“. თქვენ აქ გაეცნობით წერილებს: ჯ. ჩხიკვაძისა — გეგმური ფასი დაჩქარების პირობებში; ვ. ფარულავასი — ახალი მიდგომის რეალური უპირატესობანი; თ. ქავთარაძისა — კოოპერირების ეფექტი.

აწმყოგით „ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციისათვის“ გამოქვეყნებულია: ე. ნაცვლიშვილის — აწყურის ფენომენი; ჯ. მაზმანოვას — თავისუფალი დროის პედაგოგიკა; ი. ახუაშვილის — კულტურის დაწესებულებები ახალ მოთხოვნათა დონეზე.

ახალი რუბრიკით „შემოქმედებითი ძიებანი, დისკუსიები“ დაბეჭდილია — ლიტერატურა—პარტიულობის პოზიციიდან.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მეცნიერება — წარმოების“; „მოძმე ქვეყნებში“; „მსოფლიო დღეს“; „წიგნის თარო“.

აქტუალური ინტერვიუ

რომეშ ჩანდრა:

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲐᲕᲠᲗᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲙᲕᲔᲗᲐᲓ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ. გასულმა წელმა ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. ეს უმნიშვნელოვანესი იდეა, რომელსაც მხარი დაუჭირა დედამიწის მილიონობით ადამიანმა, წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გასული წლის 15 იანვრის განცხადებაში, თქვა პორტუგალიის გაზეთ „დიარიუსა-თვის“ მიცემულ ინტერვიუში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რომეშ ჩანდრამ.

ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას, აღნიშნა რ. ჩანდრამ, მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრამ. ამ მოლაპარაკებამ, თქვა შემდეგ მან, პასუხი გასცა ყველა კითხვას — სტრატეგიული რაკეტების პრობლემით დაწყებული და საშუალო სიშორის რაკეტების, ბირთვული გამოცდებისა და „ვარსკვლავეთის ომების“ პრობლემებით დამთავრებული. მაგრამ პრეზიდენტმა რეიგანმა „დასასმარა უმნიშვნელოვანესი შეთანხმების მიღწევა თავისი ჯიუტი უარით ხელი აეღო „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადებაზე“. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ამგვარი ნაბიჯი გადაადგმევინა ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, ხაზი გაუსვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა.

რ. ჩანდრამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სულ უფრო მეტი ადამიანის შეგნებაში მკვიდრდება ახალი პოლიტიკური აზროვნება. მან თქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „დელის ექვსეულის“ მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს, მიუბრობელი სახელმწიფოების „ჰარარის მოწოდების“ მიღებას, რომლებმაც გაილაშქრეს გამალებული ბირთვული შეიარაღებისა და „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადების წინააღმდეგ.

ნაჯიბი:

შერიგების კურსს მხარს უჭერს დიდი უმრავლესობა

ᲠᲝᲛᲘ. ავღანელმა ხალხმა ენთუზიაზმით მიიღო ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება ეროვნული შერიგების შესახებ. ბოლო რამდენიმე დღეში ჰერათის პროვინციაში მოწინააღმდეგე მხარის სამი ათასზე მეტმა წარმომადგენელმა, სხვა პროვინციების დიდმა და პატარა ჯგუფებმა მხარი დაუჭირეს ეროვნული შერიგების პოლიტიკას. ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ცეცხლის შეწყვეტის პროცესი წარმატებით დაიწყო, განაცხადა გაზეთ „უნივერსალ“ მიცემულ ინტერვიუში ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ-ლური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნაჯიბმა.

ავღანეთის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძმათამკვლელი ომის მთავარი მიზეზია იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა რეგიონში მათი მოკავშირეების ხელშეწყობით. ამას უდიდესი მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა. ეროვნული შერიგების პროცესის შემდგომი განვითარება, რომელსაც მხარს უჭერს ავღანელი ხალხის დიდი უმრავლესობა, მოითხოვს — უნდათ თუ არა ეს — შეწყვიტონ ჩარევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში.

„სამშობლოში შეზღუდული საბჭოთა კონტინგენტის დაბრუნების მიმართ ჩვენი პოზიცია სავსებით ნათელია, — თქვა ნაჯიბმა. — დაბრუნების გრაფიკი და მისი პირობები უკვე კარგა ხანია შეათანხმეს ავღანეთისა და სსრ კავშირის მთავრობებმა. აუცილებლად უნდა შეწყდეს გარედან ჩარევა და უზრუნველყოფილ იქნეს შემდგომში მისი გაუხანლობლობა“. როგორც ნაჯიბმა თქვა, თუ გარედან ჩარევა შეწყდება, ქვეყნის შიგნით შესაძლო კონფლიქტების გულისთვის საჭირო არ იქნება ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარების შეზღუდული კონტინგენტის დატოვება.

ახლა მოლაპარაკება გვაქვს 410 შეიარაღებულ ჯგუფთან, განაცხადა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

ჩვენ, თქვა დასასრულ ნაჯიბმა, გვინდა, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდეს: საბჭოთა კავშირის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაიყვანოს თავისი ჯარის შეზღუდული კონტინგენტი ავღანეთიდან და მხარს დაუჭერს ყოველგვარ ღონისძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს პრობლემის პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრას. სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის არ არის უთანხმოება. მ. ს. გორბაჩოვთან ჩემმა შეხვედრებმა ცხადყო თვალსაზრისების სრული იდენტურობა, ჩვენი ინიციატივის სრული გაგება და მხარდაჭერა.

✦ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲓᲔᲚᲘ. პაკისტანი თავს უყრის ჯარებს პაკისტან-ინდოეთის საზღვრის მთელ გაყოლებაზე. ეს აცნობა ჟურნალისტებს ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ, ინდოეთის მონაცემებით, პაკისტანმა საზღვართან თავი მოუყარა 14 დივიზიას თავისი 17 დივიზიიდან, აგრეთვე ზოგიერთ ქვეგანაყოფს პეშავარიდან და კვეტადან. „ჩვენი შეფასებით, — აღნიშნა წარმომადგენელმა, — პაკისტანი სასაკეთოს არაფერს აპირებს“.

პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტოს ცნობით, ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ დაწერილებით გააცნო პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის პაკისტანთან მთელ დასავლეთ და ჩრდილოეთ საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა. ამ დღეებში დელში გამართული პრესკონფერენციის დროს რ. განდიმ სეროიზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პაკისტანის ჯარები საბრძოლო პოზიციებს იკავებენ საზღვრის გაყოლებაზე. პრემიერ-მინისტრმა თქვა: „ჩვენ პასუხად ანალოგიური ნაბიჯები არ გადაგვიდგამს, რათა არ გაგვემაფრებინა ისედაც დაძაბული ვითარება“.

ინდოეთის არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ქვეგანაყოფებში უმაღლესი საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებს იბრძანათ ყურადღებით ადევნონ თვალი მოვლენათა განვითარებას. ინდოეთის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ აგრეთვე დაეკეტათ პაკისტანის საზღვარი და თავი მოეყარათ აქ თავისი ჯარებისათვის. ამასთან ერთად ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმაღლეს დიპლომატიურ დონეზე გადადგა მთელი სერია ნაბიჯებისა, რათა სასწრაფოდ დაცხრეს დაძაბულობა ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე.

ᲓᲔᲚᲘ. იუნის საინფორმაციო საგენტოს ცნობით, აქ გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ მის მონაწილეებს გააცნო ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე შექმნილი სიტუაცია პაკისტანის ჯარების თავმოყრის გამო, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით ინდოეთის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული საპასუხო ღონისძიებები.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ᲥᲐᲑᲣᲚᲘ.** იანვრის დამდეგიდან სამშობლოში დაბრუნდა ავღანელთა რვაასზე მეტი ოჯახი. 4.000-მა კაცმა შეწყვიტა შეიარაღებული ბრძოლა. ბახთარის საგენტოს ცნობით, მარტო განვლილ დღე-ღამეში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნდა კიდევ 86 ოჯახი, ორასზე მეტი კაცი.

● **ᲰᲐᲕᲐᲜᲐ.** კუბის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამა წლის 1 თებერვლიდან ხელფასი მოემატებათ ყველაზე მცირე ხელფასის მქონე მშრომელებს. ეს ღონისძიება პოზიტიურ გავლენას მოახდენს რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური 8 მილიონი მოსახლეობიდან 186 ათასი მუშისა და მოსამსახურის მდგომარეობაზე.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** ძლიერი არქტიკული ციკლონის შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ბოლო დღეებში შეერთებული შტატების მნიშვნელოვან ნაწილს, სულ ცოტა 18 უსახლკარო დაიღუპა. ზოგიერთ შტატებში მუშაობა შეწყვიტა ბევრმა აეროპორტმა, დაზენებულებმა. შეწყდა მეცადინეობა სკოლებში.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲣᲚᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲮᲕᲐᲚ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ — ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

87 წლის წინათ ქვეყანამ საბოლოოდ მოიშორა კოლონიური ჩაგვრის უღელი. განვლილ ათწლეულში მთლიანი ეროვნული პროდუქცია 10-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ელექტროენერგიის წარმოება — ოცჯერ. დღესდღეობით სკოლებში სწავლობს ხუთჯერ მეტი ინდოელი, ვიდრე 50-იანი წლების დამდეგს. ქვეყანა, რომელიც ამ ოთხი ათეული წლის წინათ ეკონომიკის თვალსაზრისით დასავლეთის დანამატს წარმოადგენდა, ამჟამად ინდუსტრიული სახელმწიფოების პირველ ათეულში შედის. ინდოეთის საწარმოებში უშვებენ თანამედროვე ჩარხებს, გემებს, თვითმფრინავებს, ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობის ნაწარმს.

რესპუბლიკის ეკონომიკურ პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სსრ კავშირთან თანამშრომლობას. შემთხვევით არ უწოდებენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობას სხვადასხვა სოციალური წყობის სახელმწიფოებს შორის ახალი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობის ნიმუშს. საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აგებულ ობიექტებზე ადნობენ ინდური ფოლადის 30 პროცენტზე მეტს, იღებენ ნავთობის 70 პროცენტს, მზადდება მძიმე მეტალურგიული მოწყობილობის 80 პროცენტი.

სურათებზე: ბბილაის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის უდიდესი ობიექტია; მარტენის საამქროს მეფოლადე; ბიუუტერიის გამყიდველი.

საკ.ინფორ. ფოტო.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ!

ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ძნელად თუ მოელოდნენ ხუთშაბათს ქალაქ ჰარისბერგში პენსილვანიის შტატის ხაზინადრის პრესკონფერენციაზე მიწვეული რეპორტიორები, რომ რომეი მსგავსის შემსწრენი გახდებოდნენ. თავდაპირველად ხაზინადარმა, 47 წლის ბად დუაიერმა, რომელმაც ჟურნალისტები მიიწვია, გრძ

ხვალ, 26 იანვარს, თბილისში გაიმართება საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის დამძღუფნებელი ყრილობა. განვლილ პერიოდზე, ქართული თეატრის წარმატებებზე, მის წინაშე მდგომ პრობლემებზე „კომუნისტის“ კორესპონდენტს უამბობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე:

გარდამქმნელი, შემოქმედებითი სულისკვეთება

საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის წინ

— ჩვენს ყრილობას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც არა მარტო შეაცვალა ჩვენი მუშაობისა და ურთიერთობების ორგანიზაციული სტრუქტურა, არა მარტო უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ერთმანეთს საბჭოთა თეატრის წარმმართველი ძალები, არამედ გაზარდა კიდეც თეატრის ავტორიტეტი, მისი ეროვნული, საკავშირო დანიშნულება, განსაზღვრა ახლებური შემოქმედებითი მუშაობის სტილი და განწყობილება. ჩვენ შინაგანი გადახალისების, ახალი სიღრმეებისა და სივრცეების გახსნის, ახალი პერსპექტივების წინაშე ვდგავართ. განმსჯველელი ვართ ყოველგვარი სტერეოტიპის უკუგდებით.

ჩვენს ხალხს უსაზღვროდ უყვარს თეატრი, მოწმენი ვართ იმისა, როგორ აფასებს იგი თეატრს უკვდავ მოღვაწეთა სახელებს: როგორი წმიდათაწმიდაა მისთვის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ღვაწლი ქართული თეატრის ისტორიაში, როგორ პატივს სცემს ქართული თეატრის კორიფეს, მის რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს. მოწმენი ვართ იმისა, თუნდაც ამ რამდენიმე დღის წინათ როგორი პატივისცემით შემოსა ჩვენმა ერმა დიდი

მაგრამ ისინი იშვიათად მღერიან მშობლიური თეატრის სპექტაკლებში. მეტ მრავალმხრივობას და მასშტაბს მოითხოვს საგასტროლო პრაქტიკა თბილისში, ჩვენი ოპერა კი არა, სახელგანთქმული „ლასკალა“ ვერ ცხოვრობს დღეს უგასტროლიორებოდ. საერთაშორისო მასშტაბით ჩვენი მომღერლების წარმატებები საამაყო რამ გახლავთ, მაგრამ ისინი უპირველეს ყოვლისა ჩვენს ხალხს, ჩვენს მაყურებელს ეკუთვნიან, ჩვენი ოპერის სცენაა მათი უმთავრესი სარბიელიც. იგივე ითქმის დირიჟორებზეც, თუნდაც ჯანსუღ კახიძეზე, რომლის უფრო ხშირი გამოჩენა გვსურს სადირიჟორო პულტთან. ჩვენი ხალხის წინაშე სტუმრებად არ უნდა გამოიყურებოდნენ მისი თეატრის მომღერლები, მოცეკვავეები, დირიჟორები. მოსკოვში თეატრალურ მოღვაწეთა დამფუძნებელ ყრილობაზე კეთილი შურით განვიმსჭვალე, როცა ერთმა ბალტიისპირელმა ორატორმა ამაყად განაცხადა: ჩვენთან მაყურებლის, ცარიელი სკამის პრობლემა არ არსებობსო. მეც მინდა ჩვენი ოპერის მისამართით ოდესმე ხმამაღლა წარმოვთქვა რწმენისა და კმაყოფილების ეს სიტყვები...

ყურადღება: ექსპერიმენტი!

ახალი წლის პირველი რიცხვებიდან თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში დაინერგა ახალი ექსპერიმენტი — ტროლეიბუსებისა და ავტობუსების მიმოსვლის მართვა რადიოთი და ტელევიზიით.

— ეს ექსპერიმენტი, — გვესაუბრება თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მოძრაობის დაკავშირებამულობის უფროსი ნ. კორძაია, — ითვალისწინებს მოძრაობის დისციპლინის განმტკიცებას, გააუმჯობესებს რეისების გრაფიკის ზუსტ შესრულებას, მოძრაობის ოპერატიულ ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას. პირველ ეტაპზე ამ ექსპერიმენტში მონაწილეობას მიიღებს დედაქალაქის 97 ავტობუსი და 72 ტროლეიბუსი.

ქალაქის მთავარ გზაჯვარედინებზე უკვე დადგმულია ცენტრალური სადისპეტჩეროს მონიტორების 20 ტელეკამერა.

ხურათებზე: ტელერადიოს ცენტრალური სადისპეტჩერო; მონიტორის ტელეკამერა; № 1 ავტობუსის მძღოლი ზ. უთარგაიძე უპასუხებს სადისპეტჩეროს; ოპერატორი — ვ. გზრიშვილი.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

მომღერლის გედნიერი სეზონი

საოცარად იღბლიანი გამოდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტის მაია თომაძის შემოქმედებითი ბედი. გასული წლის ნოემბერში მას ბარსელონის ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემია და ამ წარმომადგენლობითი დათვალიერების „გრანპრი“ მიენიჭა.

ამ დღეებში მაია თომაძემ კვლავ დიდი წარმატება მოიპოვა. ქალაქ ბარსელონის ლისეოს დიდი თეატრის სცენაზე მან მთავარი პარტია შეასრულა ვერდის ოპერა „აიდაში“. ამ პარტიამ ქართველ მომღერალს ახალი, დამსახურებული აღიარება მოუტანა.

საქინფორმის კორესპონდენტი მერი გაბრიაძე შეხვდა მაია თომაძეს და სთხოვა ეამბა ბარსელონაში თავისი გამოსვლის შესახებ.

— პირველი, რაც მინდა გავუზიარო ჩემს კოლეგებს, პედაგოგებსა და მსმენელებს, არის სიამაყის გრძნობა ქართული საბჭოთა საშემსრულებლო სკოლით, რომელიც სულ უფრო მეტად იხვეჭს აღიარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

იანვრის ორი კვირის მანძილზე ბარსელონის დიდი თეატრის სცენაზე „აიდაში“ მთავარ პარტიას სამი მომღერალი ასრულებდა — იტალიელი, ესპანელი და მე. ჩემი პარტნიორები იყვნენ ცნობილი ვოკალისტები — იტალიელი ლანდო ბარტოლინი და ინგლისელი კორნელ მაკნეილი. საქმეკაკლს დირიჟორობდა ბუენოს-აირესის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი რომანო განდოლფი.

ბარსელონელი მსმენელები კლასიკური საოპერო მუსიკის ცოდნით და სიყვარულით გამოირჩევიან. მათ დიდებულად იციან ყველაზე პოპულარული ნაწარმოებების პარტიტურები.

სპექტაკლის წინ გამოშვებულ პროგრამა-ბუკლეტში აღნიშნული იყო, რომ „როგორც იქნა ბარსელონელებმა მოახერხეს აიდას მოსმენა მაია თომაძის შესრულებით, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად და ღრმად წარმოაჩინა დიდი ვერდის ჩანფიქრი“...

კიდევ ერთი ნათელი ფურცელი შემემატა მსოფლიოს სცენებზე ქართველი შემოქმედი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მიღწევების მატიანეს. ამის დასტურია მაღლობის წერილები, რომლებიც ბარსელონის ლისეოს დიდი თეატრის გენერალურმა დირექტორმა ლუის ანდრეუშმა გადმოგზავნა სსრ კავშირისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების, სახკონცერტის ხელმძღვანელობას.

როცა მომავალ შემოქმედებითს გეგმებს შეეხო, მაია თომაძემ თქვა, რომ აგვისტოში კვლავ ეწვევა ესპანეთს. თავის კონცერტმაისტერთან ნატალია ჭანტურიშვილთან ერთად სოლო კონცერტს მოაწყობს ბარსელონაში, მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში საკურორტო ქალაქ კოსტა-ბრავაში.

ქართველი მომღერალი მიიწვიეს მონაკოშიც, სადაც გაისად იმღერებს ვერდის „რეკვიემში“, აგრეთვე გამოვა არგენტინაში, ბუენოს-აირესის თეატრში ოპერა „აიდაში“.

თბილისელი მუსიკის მოყვარულნი მაიას მარტში შეხვედებიან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე ვერდის ოპერა „დონ კარლოსში“ — იგი ელისაბედის პარტიას შეასრულებს.

— მომავალი როლია ლელას პარტია რევაზ ლაღიძის ამავე სახელწოდების ოპერაში, — ამბობს მაია. — მე ვალში ვარ ამ შესანიშნავი კომპოზიტორის წინაშე...

ივნისში თბილისში გაიმართება მომღერლის სოლო კონცერტი — თავისებური გენერალური რეპეტიცია საზღვარგარეთული გამოსვლების წინ.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

მეზღვაურები დამხმარნენ

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „ქუთაისის“ მეზღვაურებმა ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებისას ნიკარაგუის ნავსადგურ კორინთოში აღკვეთეს კატასტროფის საფრთხე.

რეისის დამთავრების შემდეგ ჩვენი ტანკერი რეიდზე დადგა ნავსადგურ ფეიდოსაში. ჩვენ რადიოთი დავუკავშირდით მის კაპიტანს ედუარდ ეუკ-ტრიპოლიტოვს. აი რა გვიამბო მან.

გემი ნავსადგომთან ელოდა დაცლას. 1 დეკემბერს 22 საათსა და 30 წუთზე ნაპირიდან მივიღეთ ცნობა ავარიის შესახებ: ადგილობრივ ნავთობსახდელ ბაზაში ცისტერნა გაბზარულა და 600 ტონა ბენზინმა გამოქონა.

შეიქმნა ხანძრისა და დანარჩენი ცისტერნების აფეთქების საფრთხე, ეს კი მთელი ქალაქისათვის უბედურებას მოასწავებდა. საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს ტანკერსაც, რომელიც ავარიის ადგილიდან 200 მეტრზე იდგა. ხელისუფლებმა საგანგებო წესები გამოაცხადეს.

დამხმარენი

ნიკარაგუის „პეტრონიკის“ ფირმის დირექტორმა ემილიო კანალესმა გვთხოვა დავბმარებოდით ავარიის ლიკვიდაციაში. მოხალისეთა ჯგუფმა შემთხვევის ადგილას მიაშურა. დაღვრილ ავიაბენზინს ტერიტორიაზე აკავებდნენ მეტრზე ოდნავ მაღალი წინაღობის წყალობით, გამოკონილ ბენზინს ქვიშას აყრიდნენ.

ჩვენ შევთავაზეთ, როგორც ვფიქრობდით, შექმნილ ვითარებაში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება — დაღვრილი ავიაბენზინი „ჭუთაისის“ ცარიელ ტანკერში ჩაგვეშვა და ამით შეგვემცირებინა დაგზიანების დონე (ბაზის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა ცარიელი ცისტერნები). გემზე მივიღეთ ბაზის ტერიტორიის დეგაზაციის შემდეგ დარჩენილი 1220 ტონა აფეთქებასაშიში სითხე ნავთობერბათა მინარევით. როცა საფრთხე აღარ ემუქრებოდა ბაზას, ხელისუფლებმა გააუქმეს საგანგებო წესები.

თ. გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

ქენ-შენის ქარხანა

სსრ კავშირი. ზაპოროჟიესა და კიროვის ბიოქიმიურ ქარხნებში მიღებულია „სასიცოცხლო ფესვის“ ბიომასის პირველი პარტიები. ბიომასის მიღება ჟენ-შენის ქსოვილის ერთი უჯრედიდანაც შეიძლება საგანგებოდ მოწყობილ გარემოში. „მოსავალს“ ყოველ ერთ თვეში იღებენ და შემდეგ ჟენ-შენის 20-პროცენტიან განზავებულ სპირტიან ხსნარს ამზადებენ.

შარშან ზაპოროჟიედან მომხმარებლებმა მიიღეს 100 ლიტრი ხსნარი, შემდგომში ნავარაუდევია წარმოების ხუთჯერ გაზრდა.

ხელოვნური ძვალი

მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში შეიმუშავეს ხელოვნური ძვლის წარმოების ტექნოლოგია. ახალი მასალა ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უახლოვდება ნამდვილ ძვალს და

პროგლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ზუსტად იგივე კომპონენტებისაგან შედგება. მისგან შესაძლებელია ნებისმიერი ფორმის ტრანსპლანტანტის მიღება.

სტატისტიკა და ძილი

აშშ. კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების ჯგუფმა დოქტორ დ. კრიკეს ხელმძღვანელობით მრავალი დაკვირვების შემდეგ დაასკვნა, რომ ზედმეტი ძილი არათუ მავნებელი, არამედ საშიშიც არის. შეგროვილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ძილის მოყვარული ადამიანები უფრო ადრე კვდებიან, ვიდრე ისინი, ვისაც დღე-ღამეში 7-8 საათი სძინავთ.

მაგრამ დღე-ღამეში 4 საათზე ნაკლები ძილიც არ შეიძლება.

თვითმკვლელთა უმეტესობა ამერიკაში ისინი იყვნენ, ვისაც ძილი აკლდა ან, პირიქით, ძალიან ბევრი ეძინა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „არანორმალურად“ გრძელი ან მოკლე ძილი ადამიანის ფსიქიკას აზიანებს. გამოკვლევები გრძელდება.



ქომუნისტი

სკკვირეული საქართველო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ორგანო

ახალი ქირურგიული სახვევი

ინგლისი. ლონდონის უნივერსიტეტის ორთოპედიის ინსტიტუტში თეთრი ტორფული ხავსის გამოყენებით სპეციალისტებმა შექმნეს ახალი ქირურგიული სახვევი მასალა. როგორც ცნობილია, ხავსის უჯრედებს შეუძლიათ საკუთარ წონაზე ოცდახუთჯერ მეტი სითხე შეიწოვონ. ახალი ტიპის სახვევის დამზადების ტექნოლოგია მარტივია: ხავსს ახმობენ, ფშვნიან და ურევენ ალგინის მარილმჟავას. შემდეგ ამ ნარევს მარილის საფენს წაუსვამენ.

ადამიანის ტვინი — დაბადება და სიბერე

საფრანგეთი. ზოგი მეცნიერის აზრით, არსებული თეორიები ადამიანის ტვინის ჩამოყალიბების შესახებ ნაწილობრივ მცდარია.

მკვლევრების ვარაუდით, ახალშობილი ბავშვის ტვინი დაახლოებით 100 მილიონი ნეირონისაგან შედგება. შემდეგ კი, რამდენიმე თვის მანძილზე, ნეირონების რიცხვი მატულობს რამდენიმე ასეული ათასით წუთში.

25 წლის ადამიანის თავის ტვინის ნეირონები იკარგება დღე-ღამეში ათიათასობით. 40 წლიდან პროცესი ჩქარდება, დღე-ღამეში იკარგება 100.000-მდე ნერვული უჯრედი. ვარაუდობენ, რომ თავის ტვინის „სიბერეც“ ამის გამო იწყება. თავისი წვლილი თავის ტვინის დაბერებაში შეაქვს გენეტიკურ ფაქტორებს, ორგანიზმისა და ხასიათის თავისებურებებს, სოციალურ მიზეზებს.

მაგრამ თავის ტვინის რეზერვი იმდენად დიდია, რომ, ნეირონების დაკარგვისა და სხვა მიზეზების მიუხედავად, ადამიანის უმალლეს ნერვულ მოქმედებაში ცვლილებები თითქმის არ აღინიშნება.

ყაბალი

დედაქალაქის ჩემპიონატი დამთავრდა

თბილისის საკადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელშიც 32 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა, მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად. დებულების თანახმად ორი გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლებას იღებდა, მომდევნო სამ ადგილზე გამოსულები კი საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურს.

შეჯიბრება ყველაზე უკეთ წარმართა ოსტატობის კანდიდატმა გიული ალიხანაშვილმა, რომელმაც 7,5 ქულით თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს აგრეთვე ოსტატობის კანდიდატი თამარ მახარაძე (6,5 ქულა), რომელსაც კოეფიციენტების ცხრილში უპირატესობის გამო მეორე ადგილი მიეკუთვნა.

საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშებენ ოსტატობის კანდიდატები მარინე გაგნაშვილი (6,5 ქულა), იამზე თვაური და ლეილა თანდაშვილი (6-6 ქულა).

საფურნირო ორბიტა

მხატვრული ტანვარჯიში. ბათუმში ხუთი ნაკრები გუნდი იბრძოდა ჯგუფურ ვარჯიშში უძლიერესის წოდების მოპოვებისათვის. რესპუბლიკის ამ ჩემპიონატში ყველას აჯობა თბილისის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ინგა ჩხაძე, ეკგენია შირინკინა, თამარ ქუმსიშვილი, იზო მთავრიშვილი, ფიქრია ფანქველიშვილი, ბელა დავითური და ელენე აბაზაძე. შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ რუსთავისა და აჭარის წარმომადგენლები.

ფუალგურთი. ავსტრალიის ქალაქ პერტში მიმდინარე „ამერიკის თასის“ გათამაშების სტარტზე სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ს ეროვნული გუნდი ანგარიშით 10:9. ავსტრალიელებმა მოუგეს იუგოსლავებს — 8:7.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელიც მელბურნში მიმდინარეობს, მთავრდება. ვაჟთა შორის ნახევარფინალში გადვიდნენ ბ. კეში (ავსტრალია); მეოთხეფინალში დაამარცხა ფრანგი ი. ნოა — 6:4, 6:2, 2:6, 6:0), უ. მაზური (ავსტრალია; დაამარცხა ახალზელანდიელი კ. ეფერნდენი — 6:3, 7:5, 6:4), ე. ლენდელი (ჩეხოსლოვაკია; მოუგო შვედ ა. იარიდს — 7:6, 6:1, 6:3) და ს. ედბერგი (შვეიცია; დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი მ. მეჩირი — 6:1, 6:4, 6:4). აღსანიშნავია, რომ მერვედფინალში მაზურმა, რომელიც მსოფლიო საკლასიფიკაციო სიაში 71-ეა, მერვედფინალში მოუგო შეხვედრა უიმბლდონის ორგზის ჩემპიონს ბ. ბეკერს (გფრ).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

25 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საუკუნეთა სიღრმეში“. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — სპორტლოტო. 10.30 — მაგიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კინოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — მულტფილმი. 15.50 — „ამხანაგი სიმღერა“. 16.30 — სტუმრად ზღაპრთან. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მეენარეთა სამყარო. 20.30 — მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმები „დედოსტატი ყოველთვის ზარალშია“ და „საიდუმლო აგენტი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მუსიკა და ჩვენ. 22.55 — ევროპის ჩემპიონატი ციფურაობაში.

მეორე პროგრამა. 9.15 — დილის ვარჯიში. 9.35 — მხატვრული ფილმი „ჯანსაღი არ არის“. 10.55 — აზერბაიჯანის ტელევიზიის პროგრამა. 12.00 — დედის სკოლა. 12.30 — რახმანინოვი. პროგრამაშია: „ზარები“. პოემა ორკესტრისა და გუნდისათვის ედგარ პოს ლექსებზე. 13.15 — მხატვრული ფილმი „თავგადასავალი დედამიწაზე და ცაში“. 14.20 — ცხოველთა სამყაროში. 15.20 — წყაროები. 15.50 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.20 — სცენის სარკე. 17.40 — კლასიკური ჭიდაობა. 18.10 — ველკროსი. 18.40 — ფარიკაობა. 19.10 — ციურაობა. 19.40 — რეკლამა. 19.45 — „ცირკი ყველას უყვარს“. 20.25 — მსოფლიო და ახალგაზრდობა.



21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21.35 — დაუვიწყარი მუსიკალური საღამოები. ბ. ბარტოკი — № 3 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ქვეშის საათი“.



25 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „კაპიტოშკა“. 10.10 — დილის კონცერტი „რიტმი, რიტმი, რიტმი“. 11.00— სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტიაა. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი. პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერის შესწავლა“. 12.30 — საკვირაო გამოფენა. მ. ხვიტიას ფერწერა. 12.35 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“. 13.10 — ფეხბურთის მოყვარულთათვის — მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში (ბრაზილია — საფრანგეთი). 15.25 — საკვირაო გამოფენა. მ. ხვიტიას ფერწერა. 15.30 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეეკურსი. 16.00 — „ვესტნიკი“. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „მაფინი და მისი მეგობრები“. 16.45 — „წარმოგიდგენთ სასწავლო კინოსტუდია. „დიფერტიმენტი ანუ იზოლირებული ბინა კორდებალეტის მსახიობისათვის“. 17.10 — საკვირაო გამოფენა. მ. ხვიტიას ფერწერა. 17.15 — „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა“. „ჩვენი სოფელი“ (გალის რაიონის მახუნჯიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა). 17.35 — ახალგაზრდობისათვის. ტელეხიდი თბილისი — ქუთაისი („ზნეობის პრობლემები). 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „პოეზია“ (კითხულობს გ. ხარაბაძე). გადაცემა მეშვიდე. 20.50 — „კალათბურთის სატელევიზიო სკოლა“ (გადაცემა მეორე). 22.00 — „ვრემია“. 22.40— პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „საერთო საცხოვრებელი მარტოხელებისათვის“.



25 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სვეტიცხოველი დალაქი (დღისით, მე-7 აბონ. მე-3 წარმოდგენა), ფიზიკი (საღამოს, მე-13 აბონ. მე-5 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ზენსკენ სავალი გზები (დღისით), ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეკიოლინე საბურავზე; მინიატიურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული; მეტეხის — მდგმურები; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — „თოვლის ბებოს ზღაპარი. ანსამბლი „ივერია“.